ბაზტრიონი

ფასი 10.000 მ.

ხელმოწერა მიხამართი: სამხედრო სტამბა, ლორის—მელიქოვის ქ. № 3. ტელეფ. 8—61 განცხადების ფასი: ხტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 6 ოთხშაბათი 9 აგვისტო № 6

ვაჟა ფშაველა

ჩვენ ავადმყოფ სულს მოულოდნელად ხიბლავს დეკადენსი. ასტარალი ძალი იფხანს ჩაცვენილ ფერდებს და თანამედროვე პოეტს თავზე სცვივა მშრალი ბალახი. მართალია რეალი დეგენერმინი, როცა ამბობს ლიტერამონზე, რომ მის ავადმყოფ სომნაბულას ბოდვაში არ გაცვლიდა მთელ ტომებს ნათელი ლიტერატურისას.

ამიტომ არის, რომ აქამდე აწვალებს მწერლობას ანემიური ბერეგი დეზესენტი და მოლდაროროს სანონოლოგთან ჰამლეტი და ფოუსტი გულბრყვილო რეტორიკაა. მე მგონია რომ საქართველოს და მისი მწერლობის ისტორია გაუთავებელი ცალია ჰეგელის დიალექტიკის. საქართველოს ბეერჯერ გაუკეთებია ამ დიალექტიკის წრე ალორძინებისა და დეკადანსის... ამ შემთხვევაში მართალი აქვს გამართლება ფეთიკის ტრეიზმს, საკვდილით დაბადება სიცოცხლის ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანმა იცოდა. და მართლაც ვინ დაჯერებს რომ ათასი წლები ისტორიული და კულტურულ ცხოვრებისა ჭქონია ამ ეს რომელსაც ჩვენ დღემდე კიდევ შერჩა ვაჟაფშაველა.

დღეს პოეზია ისეა დაწურული საფრანგეთში, რომ ფრანგ პოეტებს სასწაულად მიაჩნიათ სერგეი ესენინის სიდელე.

რა სანასაობა იქნებოდა ფრანგი პოეტისთვის რომელიც ეწვალა როსარიო, ვოლტერით, ბრდლერით—რომ წარმოიდგინოს ვაჟაფშაველას მთელი ბარბაროსული ძალა და უშუალო პოეტური სტიქია, ჩვენ დღეებში ასეთი სასწაული არავის სჯერა. ქემპარიტად ვაჟა-ფშაველა მისტიური ნიშანია საქართველოს მეათეჯერ გაახალგაზრდების. ყოველი ერი ვაჟა-ფშაველასთანა გენიით იწყებდა თავის ისტორიულ ცხოვრებას: ბერძნებში ჰომერი, რომში ვერგილი; საქართველოში კი გამოდის რომ ევრიპიდიც ყოფილა რეგორც რუსთაველი, და მეცხრამეტე საუკუნეში ხელმეორეთ იწყებს ჰომერის ხაზს—ვაჟა-ფშაველა.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო და მისი მწერლობა უფრო ბუნებისმეტყველების კატეგორიაა, ვინემ ისტორიიის და მხოლოდ გეოლოგიურ კატასტროფას თუ შეუძლია მისი არსებობის გაჩერება.

ვაჟა-ფშაველა თითქო არც კი არის ლიტერატურული ფაქტი. ვაჟა მოკემულია, როგორც მთა, რიდგორ მზე, როგორც პლანეტა, ის აუცილებელი პოსტულატია პოეზიის. ამიტომ შეიძლება მას დღეს არ ჭქონდეს გავლენა თანამედროვე ქართველ პოეტებზე, მაგრამ პოეტები მას გრძნობენ როგორც ადამიანი მზესა და ღმერთს. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც თავის საუკუნეში ხელში ეჭირა ქართული მწერლობა ასე დაიფეთა ვაჟას მოსვლამ პოეზიაში, რომ თვითონ დაანება თავი წერას და სხვასაც ურჩევდა ამის გაკეთებას. მართალია მაშინ ქართულ პოეზიაში თითქო ჩნდებოდა მოჩვენებითი რიგი ლიტერატურულ ზეოლათა ცვლის და სად უნდა ჩატეულიყო ვაჟას მოულოდნელი გენია. ამ ფაქტს, რომელიც ილია ჭავჭავაძის თანამეგზოვეთაგან ეპიზოდური ხასიათი აქვს მიეკემული დასჭირდება გაღრმავება, და დაამტკიცებს რომ ჭავჭავაძეში იყო პუშკინის ინტუიცია პოეტების გაგების: მან ისე აღმოაჩინა ვაჟა როგორც პუშკინმა ტიუტჩევი, ამასთანავე მან აღმოაჩინა კიდევ ნიკო ბარათაშვილი და თავის დროზე დაადგა ხელი აკაკი წერეთლის სიმჩატეს (ამას ჩამია გურიელიც გრძნობდა, როცა აკაკის „ოდელიას“ მგოსანი უწოდა).

და არის აგრეთვე ანალოგია ვაჟაფშაველასა და ტიუტჩევს შორის. ორივე ეს პოეტები უკანასკნელი სირღმით აჩენენ თავიანთ ერის სულს, აგრეთვე შეიძლებოდა ამ ანალოგიის გაყვანა ბუნებასთან დამოკიდებულებაში, რასაკვირველია ტიუტჩევის ქოსს დაუპირდაპირდებოდა წინააღმდეგი პოლიეზი ვაჟას პანტეიზმის, მაგრამ ამ ანალოგიაზე შეიძლება მთელი წიგნის დაწერა. საზოგადოდ დღეს პოეზია ეწვალება პრიმიტივის აღდგენის სურვილით, ლაფორგის ეკვატორზე თავის მიდგებას-უნდა უკუღმა დატრიალება და ეს არის სტილიზაცია, უნდა ისეთი, როგორც ფრანგი პოეტის ფრანსის ჟამის პოეზიაა, სადაც უნდა ადგეს ბუკოლიკა. ვაჟაფშაველას თუმცა გავლილი ჭქონდა პოეზიის შხამი (მისი თარგმანი ედგარ პოს „ყორანი“) თუმცა მას სხვა გავლენაც ჭქონდა, მაინც ბოლომდი დარჩა მოწყვეტილი როგორც მთა. როცა კითხულობ ვაჟაფშაველას, თუნდა იმ ადგილს სადაც ატრიბულია ბებერი ხარი, როცა ხედავ მის დევებს მაშინ მასხრობად ჩნდება ფრანსისის ჟამის სამოთხეში მოგზაურობა ვირგილით (თუმცა ამას აქვს გამართლება ირონიის). დაუჯერებელია ამის შემდეგ ბედის ისეთი მასხრობა, რომ ვაჟას ჭქონდა გლეტ უსპენსკის და ზლატოვრაცკის გავლენა. ეს ისეთი გაუგებრობაა, რომ სხვა ქვეყანაში ამას ვერცკი წარმოიდგენენ, უბრუნდებით აგრეთვე იმას რომ წარმოიდგენელია ვაჟაფშაველა მეცხრამეტე საუკუნეში, შეიძლებოდა ეს ფენომენი აუსხსენი დარჩენილიყო და საქართველოს ბედს მიწეროდა, რომ ამას არ ამართლებდეს მეორე ვაჟას კონგენიალი ნიკო ფიროსმანი. ეს ორი ის ვეშპპები, რომელთაც შეუძლია დაეყრნოს კიდევ რამდენიმე საუკუნით საქართველო. მათ ხელებში ისე გადავლენ ქართულ ისტორიაში, როგორც სპილენძი: ოუსთაველი, თამარ, გიორგი საკაძე და ნახევრად მითიური წმ. ნინო; აკი ამ ბაზდ ებს წიგნს ამ რიგით აშენებულს გრიგოლ რობაქიძე, სადაც ამ სპილენძით აახსნება ქართული პრობლემა.

არ უნდა თქმა იმას რომ ვაჟას ლექსის ტეხნიკას არ შეუძლია არავიზე მოახდენოს გავლენა, არ უნდა თქმა აგრეთვე იმასაც რომ მასთან შედარებით თუნდა ბესიკი წმიდა ალექსანდრიელია პარნასელ ჰერიდიით გამოჩნდება. ამას არავინაც არ თხოულობს მისგან, ამიტომაც იყო, რომ ვაჟა გამოჩენა ... ტოდაფეს და იმ გილიოტინას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ აიმართა სხვა პოეტებისათვის. თუ მართლა იმაზე მიდგა საქმე, რომ საქართველოშიც გაჩნდეს დადაისტები მაშინ საკმაო არ იქნება უბრალო გამოსვლა ვაჟას წინააღმდეგ, მას დასჭირდება დინამიტებით აფეთქება, როგორც კავკასიონის ქედს და ეს იქნება ისე მიუწდომელი როგორც მზის აფეთქება.

ვაჟაფშაველა არავის არ უშლის პოეზიაში, ის პოეზიისათვის ისეთი სტრატეგიული პუნქტია, როგორც მამისონი საქართველის ტერიტორიისათვის. და თუ ისე გაჭირვეულდა და კაპრიზიანი გახდა პოეზია, რომ მოინდომა ვაჟას მიდგის ცოლის ამბავი და მოიმოზოვა დანაშაული პოეზიაში ყველაფრის საკვდილი მაშინ იქ პოეტს მოუვა მინდიას ამბავი და დაიღუპება თუ მანამდი თვითონ პოეზია არ დაიღუპა.

ეე შეგნებულად ვერიდები ვაჟას პოეტურ პიროვნების დახასიათებას და ამიტომ არც ერთ მის ლექსს და პოემას არ ვეხები. ეს იქნება საგანი სხვა მაღალი შთაგონების, რომელსაც ყოველთვის გამოიწვევს მისი პოეზია, ეს არის უბრალო სქემა იმ მინუშენტის, რომელიც უნდა აიმართოს მოხოგოიფის სახით. ვაჟაფშაველას სიმფონია პარიზშიც დარეკავს ვიგნერივით ერთი პოეტის რჩევით რუსი ცნობილი კომპოზიტორი ნ. ნ. ჩერეპნინი სწავლობდა ვაჟას ჰეროიკულ ეპოსს ოპერის დასაწერათ და პარიზში წასულმა ჩაშალა ეს პლანი მაგრამ გამოჩნდება სხვა ვინმე დიდი მემუსიკე, რომ აალაპარაკოს ეს მოვარდნილი ვულკანი. წელს შვიდი წელი თავდება, ვაჟას სიკვდილის ეს ხანი თითქო ერთი წამია მე ეხლაც მახსოვს მოსკოვის ახლო აგარაკი „ლესნოი“ „გოროდოკ სადაც გავიგე ვაჟას სიკვდილი.

მახსოვს რუსი გაზეთის ერთი კორესპოდენტის მონაწერი დეპეშაც რომ სიკვდილის წინ ვაჟა გაეხვია ნედელ ფოთლებში, რომ წარმოედგინა თავისი ხეობიანი მთები, მახსოვს პოეტი კ. ბალმონტის გაკვირვებული და გაღრმავებული თვალები, როცა ზეპირად ვუთარგმნიდი ქრისტმატიდან პოემების ნაწყვეტებს და ზეპირად ნასწავლ ციტატებს თითქო მას შემდეგ ერთი წამია; ვაჟაფშაველა არასდროს არ დაბერდება პოეზიისთვის და მე ეხლაც მთელი შეგნებით, რომ ვსდგევარ იმ მარცხენა ფრონტზე, რომელიც ავალებს დღეს პოეტს პოეზია, გაგიმეორებ რაც დამიწერია კიდევ ერთხელ ადრე. რომ ვაჟაფშაველა უნდა ავიდეს დიდუბის ქაობიდან, სადაც დასაფლავებული არიან პატარა პოეტები და ავიდეს მთა წმინდაზე რადგან მთა წმინდა ისე არავის არ ეკადრება, როგორც ამ მართლა წმინდა მთას.

ტიციან ტაბიძე.

ვ ა ჟ ა უ ბ ი

ბუნოვ ბოლეკო—ეროვ
ჩარგალელ გოგოს ცქერამა.
ბიჭთან უნებურ წაყოდის
ყორეზოამ მაღალ ყელამა.
ხმალდახმალ მაკალ თოორლეი
აღარ მიმიღოს კერამა.

გავიჭერ მინდორს ნადირი
თხემნი გარდაელე ოთისანი.
ჩანჩქერს თავზედან გამოსჩან
ნაყარნი მაღალ რქესანი.
ირემი დავკოდ საბალო
წვეთნი ისხმიან მზესანი.

რა ვიცოდ თუ რო ჯონქაის
მფარველ ყოფილა გივარგი.
დახეთქილ რქების ტოტებზე
სანთელ ყოილდ ნივარგო.
რად მინდა სოფელს ყიალი
თუ კაცი აღარ ვიკარგე.

შენ ჩემო მთაო ნისლოან
ვამე რო ვიქეც სამარო.
ქართველ მიქვიან სახელი
ხახმაკო ცუდსა მაშორე.
დედავ იგულვე ყოველმან
მფარველად ჩემთვის ლაშარი.

მეცა მიწოვავ ძუძი
ფშავის იტყვიან მწიფისა.
ხარ ვიყო ნაიალაარ
ბუღრაობს რქენა იესა.
ვზულვიდე რქებით ნაანავებს
სამშობლოვ შენი მიწისა.

გრიგოლ რობაქიძე.

ე ძ ს ა რ ო ვ ბ ტ ი

ხარ ბახტრიონის დევი მაგარი
კარატის კარატ ხელკვერიანი.
ტახვითი გველი ვაწევს ჯაგარით,
გოესლამენ ხვადნი და ხოკერანი.

გელის კოდები ლედიანები,
ლალა, ტაგანი და სარძეული;
ხვადაგი წითელ ბუდიანები,
კერატი სისხლში გადარწეული.

და შენი სიტყვა ნარადიანი.
ყამირი ღუმით გადაპოხილი:
როგორც მესსია, როგორც სარდალი,
შენ საქართველოს ხარი მოხველი...

გიორგი ლეონიძე.

8 აგვისტო.

ვ ა ჟ ა

(1861—1915)

ძნელია ბიოგრაფიის დაწერა, თუ კი ამ სიტყვის სამძიმესა გრძნობთ.

უფრო ძნელია ვაჟას ცხოვრების აღწერა. შაბლონით ხომ ვერ მიხვალთ მასთან. ვაჟა მაღლაა, და მის ცხოვრებას უფსკრული აქვია წრედ. სადაც ვაჟა სუნთქავდა განიერ მკერდით, იქიდან გარეული ფრინველები დასცინიან ჩვეულებრივს საბრძანებელს.

არც ერთი ზომა არ მიუდგება ვაჟას, რადგან ვაჟა ან ჩამოიჩა სინამდვილეს, ან გაუსწრო, გაზომვა კი საჭიროა, რადგან ბიოგრაფია მარტო აღწერა როდია, იგი გაგებაც არის.

ამ გაგებაშია სიძნელე.

ვაჟამ უფრო ააფორიაქა ადამიანის სული, ვიდრე დააწყნარა.

მისი გუნება ისევეა აწყვეტილი, როგორც მისი პოეტური ტემპერამენტი.

დროსაც კი არ უნდა დაემორჩილოს, და მარტო მთას თუ დაუჩოქებს, მხოლოდ ლაშარის მორჩილი.

მისი პოეზიის თილისმა?—ფშავის ვაჟედილი მთები და არაგვის დაჭრილი ტახი.

მისი გაქანებაც ჰორიზონტს როდი საპირო

ვერც ვაჟა დაიწუნებდა ჯახვის ამ მივარდნილ ბუნაგს.

***

იქ დღესაც სცოცხლობს ზღაპრად ქცეული სახელი ლექთა მდევარის იმედა რაზიკაშვილისა. იქ ვაჟკაცობის კულტია დღესაც.

ყანწში ხანჯლით ვერცხლის ჩათლა უფრო სარწმუნოა იქ, ვიდრე ზიარება.

რაზიკაშვილების მოდგმას დღემდე ეს სახელი იფარავდა დროშასავით. მით უმეტეს, რომ ჭკუით განთქმულ იმედას, გადმოცემით, ერეკლესთვის უთქვამს: ორი შენ მიბრძანე, ბატონო, მაგრამ მესამე კი—ჩემიც გაიგონეო.

გოგოჭურების თემს, რომელსაც რაზიკაანი ეკუთვნიან, და რომელნიც ძველადვე ტონს აძლევდნენ მთელ ფშავს, იმედას შვილი გივიც კლდესავით სდარაჯობდა.

ამაყი მთიელი იცავდა თურმე მთის შეუვალობას.

გაეგო, რომ მისი შვილი პავლე გუთანზე მუშაობის დროს „რაღაც ქაღალდებს" კითხულობდა, და ეწყინა. ეჩვენა ეს თემისა და სჯულის ღალატად. გივმა მოსაკლავადაც კი გაიმეტა „სჯულის გამტეხი" და თოფით სდევდა შვილს. პავლე წიგნს გაჰყვა და გაიქცა. მონასტერში მივიდა და მალე ფშაური ტალავარი მღვდლის ანაფორაზე შესცვალა.

ეს პავლე-მღვდელი იყო ვაჟას მამა.

დედა კი გაბიდოურების თემისა იყო, ფხიკლეთ გვარისა, მოლექსე, რომელიც ძმასაც კი ეჯიბრებოდა, პარასკევა, მთელ ფშავში რომ ყოფილა სახელ-გავარდნილი.

ფშავში საგმირო ლექსები მეტ წილად ქალების მიერ ითხზება.

ვაჟას დედაც ამ გმირულ ქალების შთამომავალია.

ისე რომ ვაჟას ოჯახშივე მიუღია პოეტური მონათვლა.

ხოლო მამის „ცოდვა" კი გამოისყიდა მით, რომ თუ მამა თემს გაექცა მონასტერში, ვაჟა ინტელექტის მონასტრიდან ისევ თემს დაუბრუნდა, როგორც მისი ერთგული და ძმად-ნაფიცი.

ვაჟა-ფშაველა პოეზიაში, ხოლო ფშავში კი ლუკა რაზიკაშვილი ნამდვილი მემკვიდრე იყო მთის ფიზიკური და ფსიქიურ ტრადიციებისა.

პირველი გაამართლა ბრგეობით, მკლავის რკინით, თვალის მახვილით, მეორე კი—მედგარობით, სიამაყით პირდაპირობით.

***

თელავის სასულიერო სასწავლებელში, მხარზე ჩამოგდებული აბგით, დადის პატარა ვაჟა. დადის კი არა, დაჰყავთ. პავლე-მღვდელს უნდა ვაჟაც თავის კვალს დააყენოს. თელავში ფეხს ვერც კი მოაკიდებინებენ, რომ ტფილისში გადაჰყავთ, საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში. შემდეგ ვაჟა გორშია, ახლად გახსნილ საოსტატო სემინარიაში. ოთხმოციან წლებში არის ეს ამბავი. იმ დროს გორი მდიდარია ინტელიგენციით. ამ პატარა ქალაქში თავმოყრილ ინტელიგენტებს დიდი გეგმებით ჰქონდათ აზრი დატვირთული. ოცნება მაღალი და გმირული არ ასვენებდათ. და ეს მბორგავი ლოდინი აიძულებსთ ცეცხლ-ნაგუბი წერილი მისწერონ იტალიის ეროვნულ რევოლიუციის სარდალს გარიბალდის.

ქართლის რომანტიზმის კარგი შტრიხია ეს. ამ ატმოსფერაში შედის ვაჟაც. აქ ბუნებრივად იშლება ფშავის „ყოილი".

ვაჟა სასწავლებელშივე ეჯიბრება ამხანაგებს ლექსებით.

მოჭრილ კაკლის ძირს ხმარობს ესტრადად, და იქიდან სცდილობს ამხანაგების დამორჩილებას პოეზიით.

1883 წელს დაასრულა გორის სემინარია. იმავ წელს ვაჟა ერწოშია, ტოლათ-სოფელში მასწავლებლად. ორ წელზე მეტს არ აზოგინეს ამ ადგილზე. დააბეზღეს. დაითხოვეს როგორც არა საიმედო „ნიღილისტი„.

ეს პირველი მარცხი—პირველი ზნეობრივი გამარჯვებაა ვაჟასი.

ეს გადიქცა უკეთესის სტიმულადაც.

ვაჟა ნახტომს აკეთებს და რადიკალურსაც.

ერწოდან პეტერბურგს მიემგზავრება, უფროს ძმა გიორგისთან.

ეს უკანასკნელიც ,,უბედურებამ" გადისროლა ჩრდილოეთის სატახტო ქალაქში.

ტფილისში სასულიერო სემინარიაში სწავლობდა ის. ალექსანდრეს ბაღში ისვენებდნენ სემინარიელები. მათ შორის ვაჟას ძმაც.

გამოიარა მეფის მოადგილე დიდმა მთავარმა მიხეილმა. რადიკალი სემინარიელები ფეხზე არ აუდგნენ.

თექვსმეტი მოწაფე გამორიცხეს და ეს განაჩენი ვაჟას ძმასაც შეეხო. ამის შემდეგ გადაიხვეწა იგი პეტერბურგს. მისკენ გაეშურა ,,დამარცხებული" ვაჟაც.

ორ წელიწადს იარა პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად, და ნევის პროსპექტზე იძულებით მოსეირნედ.

ნივთიერმა კრიზისმა ისევ სამშობლოსაკენ აბრუნებინა პირი.

ფშავის იშვიათი ინტელიგენტი ისევ ტფილისშია.

ქართლში მიდის ამილახვრიანთსა კერძო მასწავლებლად.

იქ სწერს პოემას „მოხუცის ნაამბობი".

იქვე ირთავს ცოლს, გლეხის ქალს, ამილახვრიანთ შვილობილს.

ვაჟა მალე იძულებული ხდება ამ თავადის ოჯახსაც თავი დაანებოს. „ფილაც ფშაველი" სილას ძოლუაძის მოწყვეტს, მოზარდ ამილახვარს.

ველარ სცილდება ვაჟა მასწავლებლობას. მანგლისისკენ მიდის სოფ. დიდ-თონეთში. ვერც აქ ისვენებს დიდხანს.

ეს არის მისი უკანასკნელი გამოცდა. ვაჟა მასწავლებლობაზე საბოლოოდ იღებს ხელს. მიდის ფშავში. ეს არის მისი მოწოდება.

***

ვაჟა ჩარგალში დასახლდა. დაიწყო ცხოვრება ისე, როგორც ცხოვრობს ყველა ფშაველი:

ხვნა-თესვა. მონადირეობა, ნიშანში სროლა.

ზამთრობით კახეთისკენ განავარდება ჯიხვებზე და შველზე სანადიროდ.

წელიწადში რამდენჯერმე დახედავდა ტფილისს.

საქართველოს პულსის გასასინჯად.

რამდენჯერმე ფშავის სალოცავებში წასულა დღეობაში:

ლაშარის ჯვარობას, ტაბაურთას, კოპალას ქვაზე.

ჯოყოლას და გოგოთურის საზოგადოებაში ღრეობა.

ლუდით და არყით სავსე ყანწებით სადღეგრძელოები.

და ისევ ჩარგალში დაბრუნება, „ადგილის დედის" კალთასთან, რომ დღით მიწისთვის ჩაეხედნა, ღამით კი ცისკენ გაეშვა თავისი ალესილი ფანტაზია.

ერთმა ამისთანა ღრეობამ ვაჟა კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა.

30 წლისა იქნებოდა. მისმა ბიძამ ხარი დაკლა.

შესწვეს მცვრიანი მწვადები. ხარს ციმბირის ჭირი ჰქონია, ჩვენი ხალხი „ბედნიერს" რომ უწოდებს.

ამ ქეიფში ვაჟას ხელი თვალზე მოუსვამს, მოეწამლა თვალი.

მოაჯერეს ქალაქის ექიმები და სოფლის მცოდნე დედაკაცებიც.

ქორდღლის ტყავიც კი დაადეს დაჩეჩქვილი. მორჩა.

მხოლოდ თვალი მაინც დარჩა ჩამოხეული, მუდამ ცრემლიანი.

***

ვაჟა ამაყი იყო, გაბედული და რაინდიც.

ცოლი რომ შეირთო ქართლში. ფშავიდან მაყრიონი მცხეთამდე ჩამოეგება.

მიდიან. „მიჰყავთ დედალი ხოხობი". მღაროს-კარია. დუქნები აყეფებულან. ფშაველები ღრეობენ. როს დაინახეს პატარძლის ამალა, ერთმა ფშაველმა მეორეს ლექსი შეუმღერა.

ბებიან სიტყვით გაჰკაწრეს „დედოფლის" კდემა, ეს იყო ფშაური ხუმრობა. ვაჟა ცხენიდან მოსწყდება ამის გამგონე. შეეჭრება დუქანში „ჭკვა დაუმჯდარ" მათრეველებს. იძრობს რევოლვერს, მაგრამ ისევ ჯიბეში იდებს, რადგან მოწინააღმდეგე ხანჯლით აპირებს შებმას. ხანჯალს ხანჯალი უნდა დახვდეს. ვაჟა უხანჯლოა. სტაცებს იქვე ვიღაცას ხანჯალზე ხელს. ამოაძრობს სწრაფად და თავხედ ფშაველს ყურს ჩამოათლის.

მეორე მაგალითი: ვაჟას მამა თიანეთში დაბარებული სასამართლოში. ვაჟაც იქ არის. დიდი ქრიამულია ეზოში, ყვირილი გამოდის მოსამართლე გარედ გაბრაზებული და ხალხს ხეპრედ უბრძანებს გაყუჩებას. „ვილაცეები მოთრეულხართ, რა გაღრიალებთ, ხმა გაკმინდეთო!"

ვერ მოითმინა ვაჟამ ხალხის შეურაცხყოფა, შეუვარდა მოსამართლეს კაბინეტში და მაგარი სილა სტკიცა ამ უხეირო თავხედობისთვის.

დიდ სასჯელს უქადდა ეს ამაყი გამბედაობა, მაგრამ ჩააჩუმეს ამბავი.

კიდევ: ვაჟა ტფილისშია ჩამოსული ცხენით პატარა ძმის წასაყვანად. შემოისვა ცხენზე და მიდის. კარგი ცხენები ჰყავდა ვაჟას. ერთ სოფლის ორღობეში მიაჭენებს ფეხ-მარდ იორღას. უცბად ვენახიდან მოპარვით გამოდის გლეხი. ცხენი ფრთხება. ვაჟა ზედ მიაგდებს ცხენს და მათრახსაც შეატრიალებს, მაგრამ გლეხი მედგარი აღმოჩნდება. მკვახედ უხვდება თავმომწონე ვაჟას და ბარითაც ემუქრება. ვაჟა უსიტყვოდ მიაბრუნებს ცხენს და მიდის. „ვაჟკაცი ყოფილა, მაგრა დამიხვდა, რაღა უნდა მექნაო", უთქვამს ვაჟას. ეს სიმხდალე უნდა გამოეჩინა დიდი ღონის პატრონს, რომელსაც თავისი ფიზიკური ძალით თემში თავი მოსწონდა. ეს რაინდობა იყო, მთას რომ სჩვევია. ღონემ ღონე გამოსცადა და გაიგო კიდეც. ვაჟკაცობის დასაბამმა სძლია წუთის სიბრაზეს.

***

ადამიანის ასეთ სისაღეს პოეტური ანორმალობა კარგათ ახასიათებს.

მისი შემოქმედებითი ექსტაზები აშკარავებენ მისი ტემპერამენტის აწეულ პულსაციას. სიტყვის და ფანტაზიის ტკივილები უვლიდნენ მას ყველგან: მინდვრად, დუქანში, სახლში წვეულებაში. ამ დროს იგი ჰირვეულია და დაუნდობელიც.

1915 წ. მიხ. აბაშიძეს სადილი აქვს გამართული ვაჟასთვის. თამადობს სოსო ივანიძე. ღვინის ორთქლი უკვე ნისლად დააწვა სუფრას. იღება კარი და ქალს ყვავილების ძნა შემოაქვს. ვაჟას მიართმევს ლამაზი. ვაჟა ექსპრომტს სწერს. თამადა არ უშვებს, სთხოვს ამისთვის მეორე ოთახში გაბრძანდეს. ვაჟა გადის, მაგრამ ბრაზი ახრჩობს. ლექსს ველარ სწერს.

ამ ინტერვალში თამადაც აპირებს დასწრებას თუ შეჯიბრებას და იგიც სწერს ლექსს. შემოდის ვაჟა და ოთხს სტრიქონს უკითხავს ქალს, რომელიც სუფრაზე დასწერა. თამადაც ამბობს თავისს ექსპრომტს. სტუმარი გამოართმევს ვაჟას ლექსს და აცხადებს, რომ ეს ხელნაწერი შეინახება შემდეგ ოქროს ჩარჩოში ჩასასმელადო. თამადაც ოხუნჯობს, გადმოაგდებს თავის ექსპრომტს და, პოეტის „ავ-ზნიან" სიამაყის გაუთვალისწინებლად, მიმართავს: სადაც ეგ ლექსი იქნება, ესეც იქ ეგდოსო. იწყინა ვაჟამ. თავში-დაკრულ მგელივით აიწია მხრები და გაჩუმდა. დამსწრეთ ესმით თამადის სიტყვის მოუქნელობა. იძახის ერთი:—თუ თამადის ექსპრომტი ოქროს ჩარჩოს ღირსია, მაშინ ვაჟას ლექსი რკინის ჩარჩოში ჩასვით, მხოლოდ ერთად კი ნუ იქნებიანო. თურმე უამა ვაჟას. იქ არ გაუმჟღავნებია. შემდეგში კი, სადღაც, ამ უკანასკნელ სიტყვის ავტორის სადღეგრძელოს სვამს, როგორც ისეთი კაცის, რომელიც „თავხედს პირში ჩასჩრავს უგვან სიტყვას".

ეს ვაჟას პოეტური თავმოყვარეობის ნიმუში.

თვით შემოქმედებითს პროცესს ეს მაგალითი ახასიათებს:

1915 წელსვე ფშავიდან ვაჟა ტფილისში მოდის რამდენიმე თანამგზავრით. თიანეთის და დუშეთის მაზრის საზღვარზე, სოფელ თვალივში, შემოუღამდათ. არჩიეს, ღამე იქ გაეთიათ დუქანში. დალიეს. მიწვნენ დასაძინებლად.

შუაღამისას ვაჟა აღვიძებს მედუქნეს და სთხოვს საწერ-კალამს.

ვაჟა სწერს ლექსს: ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედასთან". ვის არ ახსოვს ეს ლექსი:

„გულ-მკერდიც აგიყოვდება,
„დედაო ია-ვარდითა,
„თვალებს ნუ ითხრი ცრემლითა,
„გულს ნუ იხოკავ დარდითა...

მთელი ომის ენერგია და ქართული სევდა ისეა შიგ ჩაქცეული, რომ, ლამის, არღვევს ეს შინაგანი ბობოქრობა ლექსის საზღვრებს.

ვაჟა-ფშაველა პირველად ილია ჭავჭავაძემ იგრძნო. დიდს მხოლოდ თუ დიდი გაიგებს. არამც თუ იგრძნო, ილიამ თავიც კი დაიღო ვაჟას წინაშე. მაგრამ „ვაჟამ ეს არც იუცხოვა და არც მორცხვად დახარა თავი ძირსა. ეს ქება ისე მიიღო, როგორც კუთვნილი ძღვენიო"...

„როცა არავინ აქებდა, ლექსებსაც რომ არ უბეჭდავდნენ, მაინც დარწმუნებული იყო თავის ძალაშიო". (გრ. ყიფშიძე).

ძალოვანი გამწევი საკუთარ კუნთებს ენდობა მხოლოდ.

ვაჟამ წერა დაიწყო 1877—78 წლებში, მოწაფეობის დროს, გაზ. „დროება"-ში. პატარა მოთხრობაა, სოფლის სურათი. მაგრამ სიუჟეტი იქვე ამჟღავნებს ვაჟას სიმძლავრეს.

ასწერს ფშაველ ბუჩუკურის უბედურ ცხოვრებას, რომლის სიკვდილის შემდეგ მისი ქუდი აგრძელებს პატრონის სიცოცხლეს: საბთხულად არის ჯოხზე ჩამოცმული, და უფრთხობს ნადირს პატრონისაგან დატოვებულ საქონელს... მას შემდეგ მოდის ვაჟას ეპიკა, რომელიც ჯერ დაუფასებელია.

***

1915 წელს, ივლისის 27-ს ვაჟა გარდაიცვალა ტფილისში. სიცოცხლეში მთებს ევედრობა:

„ჩემსა სამარეს ამკობდეს
„თქვენი დეკა და ღვიანი"ო,

სიკვდილმა კი ორანჟერეის ქრიზანტემები დააჭკნო მის საფლავზე.

(სახელოვნო კომიტ. გამოც. ვაჟას თხზულებიდან).

ვახტანგ კოტეტიშვილი.

მთების პოეტი

ჩემთვის მარტო ვაჟა-ფშაველას სახელს აქვს დიდი მშვენიერება. ეს სახელი პოეტურ აზრს მინათებს მუდამ. როგორც ფრიგიელი მეფე მიდასი. რომელიც ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ვაჟაც ყველაფერს აქცევს პოეზიად.

მისი პოეზია არ არის ოთახური. იგი იშვა შალდაყიან ტყეებში ჩაჟანგებულ მთებსა და მუდამ ნორჩ ტყეებში. მისი შთამაგონებელი იყო ბუნება მისი მშობელი ფშავეთის, რომელსაც ეკუთნოდა სულით და ხორცით. ცხოვრება ამ ბუნების, მისი სიტურფე და სიმკაცრე იყო მდიდარი ფონი მისი პოეზიის. ფშავეთის ცხოვრება და წარსული იყო სული მისი პოეზიის.

ვაჟაფშაველა მუდამ არ უმღერის ადამიანებს ხშირად იგი რჩება მარტო ბუნების მკერდში და მაშინ, ეს ყველაზე უდიდესი ფშაველი იკრეფს მძლავრ ფიქრებს და თავისი ჯიში გადააქვს ველურ ჩიანგურზე. მისი ღონიერი სიმი სცემდა მაგარსა და უბრალ ხმებს ეს ხმები იმ-

ვაჟა ფშაველა

დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსაღა სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა.
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა;
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს,
შემომჯდარს გორის ფხაზედა;
სხივნი არ დაუგზავნიან
პირის საბანად წყალზედა.
. . . .

გორით—გორს ბუვი გასძახის,
თრთიან ყვავილნი მთებისა;
. . . .

ეხლა ცა წყნარობს... სოფელსაც
გულწყნარად დაეძინება
უეცრად შუა ღამისას
ცას ჯანღი დაეფინება,

შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირღია დაგვეღირება,
ჩვენ მოსვენებით მძინარეთ
საჭმელად დაგვეპირება
მოსქდება ქარი და ღვარი,
სდგას ლეწვა-მტვრევა ბრძოლისა;
დროება ჩამოვარდნილა.
დიდის შიშის და ძრწოლისა!
მოჰკაწრავს ღვარი ტყე-კლდეებს,
შოაქვს და მოსდგამს ყორედა...

(,, ღამე მთაში.")

მთანი მიყრილან ერთ-ურთზე,
გადაბმულები თხემებით,
გულმკერდი ჩამოჰლარიათ
ბნელის, საზარლის ხევებით;
კაცის ფეხ დაუკარეთა
ვსედ იტყვიან დევებით.

აქ ხომ სულდგმულსა ვერ ჰნახავთ:
ჯიხვ-შუნთ, მგელ-კვერნას მელებით,
გადაკარგულან, დამთხვარან
დევთ მოუსვენრის ტევებით.
საზარელია ეს მხარე,
ზავთით მზარავი კაცისა...
როცა კი შემობინდდება
კისკისი ისმის ალისა..
. . . .

მთვარე რომ ჩავა. ვარსკვლავნიც
თითოობითა ჰქრებიან
ცაში ზარს დაჰკვრენ ცისკრისას,
ცოდვილთ სულები ჰკრთებიან
და მკვდარნიც საფლავებიდამ
სასეიროდა დგებიან.
მაშინ კლდის ქალი, ეს ტურფა
წავა ნაბიჯით სწრაფითა;
შეივლის შავსა ქანჩახებს,
გალიპულს წყალთა ქაფითა,
ბნელს მღვიმეს მოეფარება
სიპის კარების ჩქაფითა...
ცა გაიბურვის ნისლებით,
როგორც მურით და ლაფითა...
. . . .

ზევით კლდე, სიკვდილის მზგავსი,
სხვა კლდეთ თავს დაეფარება.
ისეთი საზარელია,
ქარი ვერ დაეკარება
ამ კლდიდამ ამაიქუხებს
ხმა საზარელი კაცისა...

(,,დაუსრულებელი კვნესა."

თუ გიღალატო, დედაო,
ნუმც დაივიმარხო მთაშია
ნუ დასდვან ვაჟის-ფშავლისა
ხმალი სატირლის თავშია;
ნუ დამიტიროს ქალრძალმა
საკაცეზედა, კარშია

შავეთში გამგზავრებულსა,
ცხენი წამექცეს წყალშია.

მზე კიდევ იდგა მთებზედა,
არ დაძრულიყო ნიავი,
ყორან მთის გადასახედში
ხარმა დაიწყო ღრიალი;
სუ დაძრა ჩრდილი, გორ-გური,
დააწყებინა ზრიალი.
. . . .

სადაც კი იმას გაუვლავ,
ასუნებულა ვნებითა,
დგნალი და შიმელაები
გადუღვერია რქებითა,
ხაბოტარს დაულევია,
ის არემარე ტყებითა.
მყისვე ჩახმახი დავღრიჯე,
გულზე დავადე ლიშანი
კორაში ვნახე, დაემხო,
წვერნ გადიქნივნა რქისანი.
. . . .

თოფი წინ გადაგვარდნია...
გამომეღვიძა ღამითა,
სეტყვა და წვიმა მომსქდარი
მომგუბერია თავითა.

(,,მონადირე")

მზე გორის პირას დაჰკვროდა,
ელამებოდა ჩასვლასა,
გაღმა გამოღმა გრილები
ტყეს და მთებს უდგმენ ტაბლადა.
უკვენა ფშავის ქედები
დაწყობილიყვნენ ჯარადა.
ამ დროს შამოჩნდა ქალაზედ
გიგლია, მომსხო ტანადა.
ირევა მაღლით და ძირით
მაგრილობელი ნიავი,
მიიბრძვის მხედრის ლურჯაი,
მიიბრძვის, მიაქვს თქრიალი:
ოფლს დახეთქილსა მკერდზეით
ქვიშაზედ ჩააქვს ჩხრიალი.
უხდება გაირმებულსა
რახტის უზანგის ჟღრიალი..

მთვარე გამოჩნდა ნალევი,
მახარობელი ქვეყნისა.
აქა-იქ მოსჩანს ნათალი,
მწვეტი წვერები მთებისა.
გორ—გორის პირებს მისდევდა
ჯოგი დაღისტნელთ მგლებისა,
ხევებში ჩადგა გრილები,
ისმის ყვირილი წყლებისა.
კლდის თავზე დასძინებია
არწივს მოყვარეს მთისასა.
ბორბალა ყინულიანი
გულის პირს არღვევს ცისასა;
ერთი ბუ გაღმით კითხულობს
ამბავს გამოღმა ძმისასა..

ყორანმა გადმოიარა,
ყრანტალით, პირის ღებითა...

(,,გიგლია")

ჯავრი ჰკლავს საზიკაულსა,
შადედებული შხამითა,
ცრემლი არ მოსდის თვალებზე,
გვაეჭვიანებს ამითა...
რკინის გული აქვს ვაჟკაცსა,
ცრემლს გულსვე ასმევს ჯამითა
საქვეყნოდ დარდსა არ გაჰფენს,
ამონადუღარს გვამითა...

(,,იმედი საზიკაული".)

სოფლისა გაღმა გორია,
დამწვარი, ქვიშიანია.
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი,
ლომგული, ჯიშიანია.

მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ
კურუმად შავის ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერა მწერლის წერითა.
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერც შეულოცავს მლოცავი,
არც აიხდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხელითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა...

(„სტუმარ-მასპინძელი")

წმივდა, ელავდა, ღვარები
მთის ფერდოებზე დიოდენ,

ღერებოდა პირდაპირ მისი მკერდიდან.

მთელი თავისი სისადავით, ვაჟა-ფშაველას ენა იყო მეფური და ზარადიანი, რომელიც გიტაცებთ პირველივე ხმიდან.

როცა თქვენ 15-20 სტრიქონ წაიკითხავთ, თქვენ უკვე გადასდიხართ სხვა ფანტასტიურ სამყაროში და აქედან ვერ დაგძრავთ უკან ვეღარც პოეტის სედა.

ასეთია ჩემი აზრი ვაჟა-ფშაველზე. რაც შეეხება უცხოელებს, შემიძლია ვთქვა, რომ როცა გამოვიდა მეორე გამოცემა ჩემგან გადათარგმნილ ქართველ პოეტებს, ევროპაში ვაჟა ფშაველამ შეჰქმნა აღტაცება. იქნებ თქვენ გინდათ გაიგოთ, ვინ არის უფრო მაღალი: ილია, აკაკი და ვაჟა? მაგრამ არ უნდა ვადაროთ შეუდარებელები.

ილიას ჩემთვის უთქვამს, რომ ვაჟა-ფშაველა არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით განირჩევა თანა მედროვე პოეტებისგან

არტურ ლეისტი.

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲕᲐᲟᲘᲡ ᲓᲐᲣᲒᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ *)

მღერით პირიმზე
მოვიდა კლდეზე.
ნაზი ფოთლები
გაშალა მზეზე.
ყვავილთ ასტეხეს
რა იგი ნახეს
ჩურჩურ—კურკური:
შეჰხედე ქალო,
უცქირე რძალო,
რა ლამაზია
როგორ ნაზია
სარო ტანისა,
ტურფა სახისა
ეგ ყელ—ყარყარა.
ყველამ იმის წინ
თავი დახარა.
შვილმა დედასა,
და დედამ შვილსა
პირიმზის მოსვლა
ყვავილებს შლილსა
გაღმა ახარა.
ამის გამგონემ,
კლდით მომდინარემ
ცივმა წყარომა
სული განაბა
აღელვებს მასა
ყვავილებისა
დავი—დარაბა.
და ოხერა—კვნესით
გულს ნაღვლის ლესით—
სთქვა მან გულ—მკვდარმა:
რატომ ჩემს კიდეს
იმ დალოცვილ ღერთს
არ მოსწყადინდეს—
პირი—მზეები
რომ ამოვიდეს
იმიტომ არა:
გული მომიკვდეს?!
დავდნე ეზხითა—
შორით მზერითა?!
იმიტომ განა
რომ ცრემლი ვღვარო,
ტრფობით ხელ—ქმნილმა
დღე გავიმწარო,
და ამ ცრემლითა
გადიდდეს წყარო.
ბევრს ცხოველს ვარგო
და გავახარო?!..

* გადმოჯვეცი პოეტის ძმამ სანღრო. რაზიკაშვილმა. ლექსი უნდა გეკუთვნოდეს სიკვდილის წელიწადს 1915 წ.

რედაქცია.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲕᲐᲠᲘ

ქალო, ქართველთა სულისდგმავ,
ქალო, ქართველთა დედაო!
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა ვხედაო.
რუსთველის ქ�ა ჩვეულო.
მეც ქებას გაგებედაო.
როს ვგრძნობ, იმისებრ ვერ ვმღერი,
რად არ ვჩუმღები, ნეტაო?!
არ მოგეწონო, იქნება,
სთქვა: რისთვის თითხედაო,
მონად აღზრდილმა მოლექსემ,
სალამი გამიბედაო?!
შენ თვალთ სივებმა ამაგზნო,
დამათრო, ამაბედაო.
საუნჯეე სათნოებისა,
ჩემი მიიღე ქებაო,
ვინმე საწყალს ფშაველისა,—
ცრემლი აღარ მშრებაო...
თამარის სალიკავშია
მოსჩანს ფშაველების კრებაო,
შენთვის მსხვეპლისა შეწირვით
ქალ-ვაჟი ვერ, ძღებაო.
შეხთვის დაკლულის ცხვარ-ძროხის
დიდი ჩახტები დგებაო.
გულში გვინთხარ ლამპრადა,
ნათობს და არა ჰკრებაო.
შენს და შოთაის მარჯვენას
ვემთხვევ ზედა-ზედაო.
შენა ხარ ერის სიცოცხლე,
თავი არ მომიკვდებაო.
მოწყალედ გეკმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზი დედაო.

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

მე ჩონგურს აღარ ვაღღერებ,
ლახტი მიპყრია ხელშია,
მის ნაცვლად, მინდვრად დავდივარ,
თუ დავტანტალობ ტყეშია,
დავებღატები კლდეებზე,
ხან ჩავეკრები ხევშია.
მომწყინდა მღერა, არ ძალმიძს,
ლახტს ვიქნევ, მხოლოდ ჯბენეშია.
გატყუეთ, ვითომ ვმღერიო,
ბინა მქონოდა თქვენ ზია.
რის მღერა? საიდან სადა?
ყოველი სიტყვა ლეშია.
მხოლოდ ვკიოდი, ვყიოდი
და ეს სიმღერა მეგონა;
ყურს თურმე არავინ მიგდებს,—
თავი ბულბული მეგონა...
ბედშავ სამშობლოს პატრონსა
სხვა ვერა გამომეგონა.
რა მექნა გულდათუთქულსა,
შეეღა არვისთვის მეთხოვნა?!
შეეთხოვდი ადამიანთა,
შეეტირე მთებსა მღლებსა;
„ჩაშბერეთ სული მაღალი“,
შეეღალადებდი ბალებსა,
ეტლოშნიდი ხავსიან ლოდებს,
ყვავილთა ლამაზ თვალებსა
ან ეს, ან ისა, ვფიქრობდი,
მიშველის, შამიბრალებსა.
ვგუობდი, კამკამა წყაროო
სამშობლოს ამიმწვანებსა.
არ იქნა, არსით არ მერგო,
ბედსავ ვატარებ მწარესა.
ობოლსა უპატრონოსა,
საით, ვინ გაახარებსა?!
წაიღეთ ჩანგი, თქვენ გქონდესი,
ლახტს ვიპყრობ იმის ნაცვლადა:
ებლა ისა მაქვს ნუგეშად,
უდედოს—დედინაცვლადა.
თავში ვცემ გუშინდელს სატრფისს:
მთასა, წყაროს და იასა,
ალუდას, ზეიადაურსა
და ლუხუმს თავაზიანსა.
ლელასა შუბით აღეურვილს,
კვირიას—კონკებიანსა.
ვსცემ და დავყვირი: „მე ჩემი
„ყოველივე ვსთქვი სათქმელი;
„ხმა ამოიღეთ, თქვენცა სთქვინ,
„მე დავიყუბედე რამდენი.
„თქვენ გაანათეთ სამყარო,
„მე რომ გამიქრა სანთელი;
„ხმა ამოიღეთ, თქვენ სიტყვას
„უფრო ექნება ბაზარი.
„მე ვდუმვარ. ღონე აღარ მაქვს
„თქმისა, დამეცა თავზარი!“
მაგრამ პასუხი არა სჩანს...
ყურობს სამარის წყვდიადი,
მითრთის ხელები, სხეული,
ვარამი მქენჯნის დიადი.
ხელეებს მიბოქავს ბორკილი,
გულზედაც ლოდი მედება:
ვტირი ჩუმადა, ქურდულად,
ვიწვები, ცეცხლი მედება.



ჩავლით ჩაკიფეს ბალახი,
დაბლა ხევებში ხვიოდენ.
ზოგგორებდენ ლოდებსა,
ისმის დანდგარი, ჩხერანი.
მთისად მთა დატეეებული,
კლდე, კლდეს მომმული ვერანი,
ირჩევა ღამის წყვდიადში,
საზარლად აყორებული;
ხევში ბობოქრობს მდინარე
მყვირალი, გაღორებული.
გაღმა სხვა მოსჩანს ფერღიმი
დიდი, შავი ტყით ფარული,
როსტომის მრისხანება აქვს
და თან სინანე ქალური.
აქ ბევრი იცის ირემი,
ფათეი და ღორი მაღალი.
სიზმარში ვნახე წუხელა;
მეკვარტლის წყლის კოდში ვიდოდი,
დეკანეს გორზედ შემოვდეგ,
სადაც ირმები ვიცოდი,
გადავედ ტაფ-ტუფიანში,
ზამბ ქინჭარს მოვედებოდი,
ჩდილის თავს ქორაფლიანი
პირს იბანს უწონ მთვარითა,
დაბლა წაბლის ტყე გაშლილა,
ფათვის ნამტკრევი ღამითა.
იქვე კლდე ჰკუდაჯ ყვითელი,
მლაშობი ფონაკეს მაღლითა...

. . . . . .

გორის პირს მაყლოვანშია
ქალა გადშოდგა გზებურა;
აი, პირი-მზე ტანთ ეცვა,
თავზე ბუერა ებურა.
მეტად ლამაზი რამ ყოო,
საამო, სახით ღვთებური;
ბმამ-ოელს წინდებსა ჰქსოვდა,
თითებს აქანებს წყლებურა,
ტანით მომცოოა და თმებით
ის არე მარე ებურა.

. . . . . .

გამომეელვიძა ზედაცა,
რაწამს დასრულდა სიზმარი,
კარში გამოველ, ფინელავდა,
ამომზდარიყო ცისკარი.
ზრავალან ჩაბრძანებულან
მთახი ივარცხნენ თავებსა,
ნისლები გადასწოლია
ჭიაურთას მხარესა!..
თვალები ცეცხლისა უსხდა,
კბილები ჰჭონდა მინისა,
ცარიელს ძელებზე ზედ ეკრა
ტყავად ფურცელი რკინისა;
ფეხები ჰქონდა კაცისა
ხელებად ბჯღლები ციცისა,
და, თმის მაგივრად, სულძაღლსა,
მოკლე ფაფარი კვიცისა.

ჩავიდა ულრან უფსკრულსა,
ესმოდა ქოთი, ღრიალი,
დევთა ლხინის და მღერისა
შესაზარები ზრიალი;
ცეცხლი დაენთოთ ძლიერი,
გარს უსხდენ ყოტებივითა,
თავცხვირი ფამოეშვირათ,
სალის კლდის ლოდებივითა;
დაღრეჩილი აქვთ ლაშები,
სალუდეს ეჭიებივითა.
ფეთელს ეჭნეედეს ენებსა,
გრძელებსა შოთებივითა.
მსახურად ედგენ ჭინკები,
ეყიოდენ ჭოტებივითა.
დევთა ხელთ ეპყრათ პირ-დიდი
ჭურჭლები კოკებივითა.
ღვინის მაგივრად სისხლს სვამდენ,
დევები სწორობაზედა,
საცა ვისთვისმე მოესწროთ
ხევში, ან გორობაზედა,
არჩობდნენ, ეზიდებოდნენ,
დამდგარნი ღორობაზედა.
მოფრიალებენ ჰაერში
ალამ ფროშები ზნირადა,
სამგზაროს უკვრენ ბუკებსა,
გულისა გასაგზირადა
და ცხენთა ფეხის ტყრიალი
მიმწედარა ცის ნაპირადა;
მუზარადემი ელვედნენ,
მიწას ჰკაზმავდნენ ფერიდა;
არას უშლიდა ზედ სისხლი,
ნიფშრეკი მიწის მტვერითა.
ცას უპირობენ დალამქრას
გრძელი შუბები წვერითა,
ფარები, მრეგზე ნაკიდი
თავში საცემის კვერითა,
ყინულის ფერი ჯაკეები
თილისმა დანაკერითა;
მკლავები სამკლავეებით
მთრიახებ დანაჭერითა;
ხმლები მტრის დამარცხებისა
ლოცვების წანაწერითა
და ხურგზე ისრის ქოჯონნი
კელთ ცას ანაჭერითა.
ღამესა უფრო ალამებს
დიდი ტყე ფიქე-ნარიანი:
თელა, ვერხვი და წიფელი,
ცაცები ტან-ჯავარიანი
მიყრთ ერთ-ერთში დაკულნი,—
მუხა თავ კარავიანი.
მზის სხივი არ იპოხება
დიდი ტყე შალდაყიანი,
ხელ-ახლებელსა მიდამოს
არსად სჩანს ნაკაფიანი;
აქ ცოტ არ აჩქამებულა
ფეხ არ დადგმულა მუშისა;
ნადირთ ულიახვ ბალახნი,
მისდევს ნავალი შუნისა,
მისკენა გარსა, მიდამოს,
ისლი ყვავილთა სუნისა:
გორო-გორ შესდევს დამთხვრისა
გრძელი ნაფრენი ირმისა.
ვეფეხებს უთელავ ტერფებით
ბტაცელი ფოთლები ღამესა.

მიწა დაიძრა მთებიდამ,
ქვებს მოაქვს ხევში ჩხრიალი,
სდგას ბობოქრობა დევების,
ყურის მგლეჯელი გრიალი.
მოდას ნასროლი ლოდები,
ისრის ხროს გააქვ ძგრიალი;
იძახენ ძალი მშვილდისა,
აგერ მოგორავენ დევები;
ივსენ დევთა ლეშითა
ტყე-ველი, დაბლა ხევები.
რამ რა დაზარდნა ესეთი,
თითო ვერგვეტის სწორია:
რა ტყე ჰფარავდა ამათა,
ან რა სჩრდილავდა გორიან?
ერთი ნაკრავი როგორ ქლეტს
ერთის მოხუცის ბერისა?!
რად არ ხელ-ახლად სდგებიან,
ცამდა ამშვენენ ტაეერისა?!
ვეღარ დევობენ, რა ჰხედებათ
ლახტი სხვა რიგის მტერისა!

თენდება. ნამი დაჰყრია
მიწასა ალმასიანი.
არაგვსა პირი უცინის,
ტანი უშვენის ხმლიანი.
ულოცავენ გამარჯვებასა
მისნი კიდენი კლდიანნი.
მოსჭდა მზითა და ბარითა
ოთხთი მავალნი-დ ფრთიანნი,—
წყალსა სმენ არაგვისასა
ჯიხენი, ირემნი რქიანნი.

ჩამოდის დევთა ლეშზედა
სოფნი უმსგავსო ბჯლიანნი,—
რა მაღლი არი, წყლით დაძღენ
შვლებიც თვალ-ლამაზიანნი!

დღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუქეს თვალები.
აღარ შეფოთავენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები,
გული ვერ მოუფხანიათ,
ცრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეტხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაეცოცხლდა, ცას ეფუერება
ღრმა ღელე, წყაროო-ფშიანი.
ქუჩი გაწურის ცვრნამი.
ფადაკრფენენ ღრუბელნი,
გაიგსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუბრომველად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მომაქეს სალამი გვიანი,

ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ლვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ლვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ლალიან-ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირი-მზე,
ნუმც დაეწყვეველიან იანი,
რომ ამათ დიდის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვლიანი.
ეეც მიგეკეთებე იგი რძე.
რითაც თქვენ დაიზარდენით:
თქვენსავე გარგებთ, დობილნო,
თუ უბვად დაიხარჯენით!

გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრიდ,
ძუხა-იფნებით ფარული.
ეუ ჰყრია დიდი ლოდები
შავ-ფერი, ცეხის კარული,
ლიბ დათხრილი კოშკები,
უბზეოდ ჩამოგვალული.
ბერი ტეროდა დიაცი,
ისმის ქვითინი ქალური.
რამდენი სიპები აწყვავ!
მოსჩანს აკლდამის პირები.
გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამუზეელად დავეიღრები.

ᲒᲐᲚᲐᲨᲫᲠᲔᲑᲐ ᲚᲐᲨᲐᲠᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

სრულ აიკრიბა თოფლები,
ბილიკებ დაჩნდა მუნებისა;
კარგად იკიდებს ცხენი ფეხს,
ქუჩზე აღარა სხლტებისა;
ყველგან გაიღლის მხედარი:
ზოვებ აღარა სქდებისა.
ლაღო ზაფხულის ბუნებავ,
მამშვენო თვალთა, სმენისა,
თამარ-დედოფლის სახეო,
თავზე გვირგვინი გშვენისა;
გაგინათლებაე ქვეყანა,
ფერი დაგიდვე ლხენისა.
მკვდართა, მომაკვდავთ იმედო,
სულის ჩამდგმელო ქმენისა;
მარჯვენა-ბარაქიანო,
ძუძუს ჭირიმე შენისა!..
სამთოდ გაიდა ცხვარ-ძროხა,
არ ედგომლება ბარშია.
ყველასა გვმართებს სიფხიზლე,
ძალის შაკრება მკლავშია:
ერთ მხრივ ლეკები გვესხმიან.
სხვაგნით—ქისტები მთაშია,
გაირეკავენ ცხვარ-ძროხას
ჩამოჩვეულნი ფშაველნი.
ფშაველნიც ამას სჩადიან,
მტრისად ჩამდგარნი კვალშია.
დროა ქისტების დარბევის,
ხმა გავარდება ხალხშია;
ხატს გაიკითხავს მკითხავი,
ქადაგობს, იცემს თავშია:
„ქისტეთს გადადით, ფშაველებო,
ყველა გამოდით ჯარშია,
ნაქებო ფშაველს შეიღებო,
სამეფენო ხმალშია.
დიდი ხანია, ქისტისას
ხარს არ მოსჭერით თავიო,
გაუნათლავის ლეშთა
აღარ გამღარა სვავიო“,
ბატონის სიტყვა საყმოსა
დაუჯდებოდა ჭკვაშია;
სალაშქროდ გული აჩქროლდა,
ვინ ვის აჯობებს ცდაშია.
თოფებს უპირეს ტალები,
ყველამ გალესა ხმალია;
თავს დაიხურეს ჩაჩქნები,
ტანზე ჩაიცვეს რვალია.
ხუზაურ გოგოლაური
შავარდენივით ჩქარია,
ძანგარ ელისბარის ძე
გორის მდრეკელი არია,
სუმელჯი სუმელჯიშვილი—
ამომავალი მთვარია.
სამნი წავიდნენ საჯარეს,
შაალეს ბელლის კარია;
გამაბძანეს დროშაი,
წმინდის გორგის ჯვარია;
წინ ჩამოუძღვნენ ლაშქარსა,
ჩამაამწკრივეს ჯარია.
მაურის თავი გადაეცლს,
მთებს გაუბერტყეს ნამია;
მოსხლიტეს ქისტის ცხვარ-ძროხა.,
მამლის ყიოლის ხანია...
მდევრად გამაჰყვნენ ქისტები,
ვისაც უჩრდა მალა�ia.
ის იყო გარიეთრაეია,
მზემ გაანრუნა ღამია;
ზედი-ზედ დატყვრა მაერები,
სიათეების ჩქამია;
ბოლი ჩამოწვა ხეევებში,
ბრძოლა შაიქნა ცხარია.
ცხრას ქისტს მოსდევდა მარტუა
მახინცაური მწარია.
დამარცხდა ქისტის ლაშქარი,
თან გაჰყვა სისხლის ღვარია.
ლაშარის გორზე შამოდგა
ათასი ქისტის ცხვარია,
ასი კურატი რეა-თეთრი,
ორასი ნისლა ხარია...
თან მაჰყვა დროშის ეღერითა
გამარჯვებული ჯარია.
მთაზე დაურჭვეს დროშაი,
აეღრიალებდა ქარია.
ორმოცს მარგილზე დაადგეს
ორმოცის ქისტის თავია,
ორასის ქისტის მარჯვენა,
ფარ-ხმალი ნადავლარია.
მოდგა ლაშქრისა სამხერლად
უხვად ქალი და რძალია,
ამ ზუვის ვეფხვების გუნდსა
არ მაჰშორდება თვალია.
ერთგნით ხო ცეცხლი დაენთო,
სხვაგან-კი ჰბუგავს ალია.
ადიდეს ლაშარელი
და თამარ-მეფე წყნარია.
კარგს ყმათ საკარეოს ასმევენ,
მაიხსენეს მკვდარია,
პირ-ოფლიანნი ვინაც კი
ლაშქარს მოკლული არია,
ხატ-თემის ნამუსისადა
ვინც არ დაზოგა თავია!..

„სახელოვნო კომიტ. გამოცემა
(ვაჟას I წიგნიდან)“

ᲕᲐᲟᲐᲡ ᲤᲐᲥᲘᲛᲘᲚᲔ





ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

მოგონება

გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სკოლაში ვწავლობდი. პირველად ლუკა რაზიკაშვილი მაშინ ვაჟა-ფშაველად არ იწოდებოდა, ლუკა რაზიკაშვილს აწერდა თავის ლექსებს ეურნალ „იმედში“, პირველი მისი ლექსი როგორც „მახსოვს უნდა იყოს „ყარსის ბოლო“ სემინარიის ეზოში ვნახე ფასვენებას დროს. კაცი ახალგაზდა, „შვენიერი გულ-მკერდის, მხარ-ბეჭის, თვალ-წარბის მქონე და სიცოცხლით სავსე. მის ამაყსა და ბუნებრივ მედიდურ სიარულს სამაგალითო სკოლის „ეგრრდები განცვიფრებაში მოეყვდით. ყველანი დიდის სიამოვნებით უყურებდით და ახლოს ვეტმასნებოდით რომ ფასი ლაპარაკიც გაგვეგონა.

ვაჟა-ფშაველა საუკეთესო შეგირდად და ადამიანად ითვლებოდა სემინარიაში. ყველა მისი ამხანაგები დიდ პატივს სცემდენ და უყვარდათ კიდეც. თვდო წიგნიაძე ხშირად ვაჟა-ფშაველას ამობურთულ მკერდს ღონივრად დაარტყამდა ხელს და ეტყოდა. „დიდხანს უნდა იცოცხლოს ამანაო.

ვაჟა-ფშაველაც თავისებური ტკბილის ღიმილით ეტყოდა. “მოგიკვდეთ ლუკარაზიკაშვილი თუ არ გასახელითო.“

ნაიქვამი ასრულდა.

დიდ პატივსა სცემდა ვაჟას აგრეთვე გორის საოსტატო სემენარიის დირექტორი სემიონოვი. დიდ კაცსა ჰხედავდა მასში როგორც იტყოდნენ ხოლმე სემიონოვის პირით სემინარიის მასწავლებლები.

უყვარდათ ვაჟა აგრეთვე გორელებსაც. რაკიხანი იქ სწავლობდა არავითარი ცოდო ვაჟასი არ უნახავთ. უყვარდათ ჯაჟა მეტადრე ქვემოთა უბნის მოკრივეებს. ქვემოთა უბანი, როგორც უფრო სუსტი მხარე მოდამ იჩაგრებოდა ხოლმე ზემოთა უბნელებისაგან. როდესაც კი ჩაიგდებდა დროს ვაჟა და გაიპარებოდა სემინარიიდან საკრივად სულ მუდამ ქვემოთა უბნიდან ჩადიოდა. ჩავიდოდა თუ არა ვაჟა კრივში ზემოთა უბნელებში ჩოჩქოლი ატყდებოდა: ჩამოვიდა ფშაველაო. ვაჟასთან ერთად ჩადიოდნენ კრივში ნიკო ლეონიძე. ნესტორ კიკნაძე და ლავრენტი ოქროპირიძე. მათი ჩასვლა და ზემოთა უბნელების და ძვრა ერთი იყო.

უყვარდა ვაჟას კრივის გარდა ნადირობა და თევზაობა. ხშირად ლუკა და ნიკო ლეონიძე, (მამა ჩვენი პოეტის გორგი ლეონიძისა) ერთად მიდიოდნენ მტკვარზე სათევზაოდ დღე-ღამით. თან საკითხი წიგნებიც მოჰქონდათ. მტკვარში რომ ჩანვდებს ჩაყრიდნენ ვადამდის, თავთა წიგნებს ჩაუსხდებოდნენ. ძალიან კარგათ მახსოვს როგორ მოუთმენლად ელოდნენ ვაჟას და ნიკოს ამხანაგები: მოვლენ და ახალი თევზით დაგვამლობენო. ასეც ხდებოდა. ეს ორი განუყრელი ამხანაგი, ნიკო და ვაჟა, არას დროს თევზს არ გაჰყიდნენ რამდენიც უნდა დაეჭირათ. სულ სემინარიაში მოჰქონდათ. და უძახებდნენ ვასილა მზარეულს და ეტყოდნენ; მოხარშე და ერთ ძღომაზე აქამე ბიჭებსაო.

ერთხელ ვანო ჯაჯანიშვილმა დაჰპატიჟა ვაჟა კავთიხხევში, ჩივაანთ უბანში.

შუა სადილობისას, გარედ კაკლის ქვეშ რომ ისხდნენ, ქათმებს და ვაიოებს აუტყდათ წეიელ-კივილი. ზემოდან ქორი დასტრიალებდა და შიშის ზარს სცემდა მამლების ოჯახობას.

— კაცო, არაფერი გაქვთო, უთხრა ვაჟამ ვანო ჯაჯანაშვილს.

— ვინტოოკის მეტი არაფერიო.

ვანტოოკის გამოტანა და ტყვეით ქორის ყირამალა წამოსვლა ერთი იყო.

ძალიან მარჯვე მსროლელი იყო ვაჟა და დარჩა კიდეეაც ბოლომდის. ხშირად ჭქონია ჩარგალში ნადირის ხორცი ვაჟას, როგორც მის ძმებისაგან გამიგია. და აგრეთვე I ხვებისაგანაც. მე კი ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე ფშავში ასელა ამ საყვარელი ადამიანთან, რომ ჩემის თვალით მენახა ყველაფერი ის, რის ნახვასა და დათვალიერებასაც მპირდებოდა თვით ვაჟა.

ᲨᲘᲝ ᲛᲔᲯᲕᲘᲛᲔᲚᲘ.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ძალიან ჩამოცხა თბილისში. მაშინ შესაძლო იყო გასულიყო ადამიანი საგარაკოდ, ბუნების კალთაზედ გაეტრებინა არდადეგები. შეკვამზადე ოჯახი მანგლისში წასასვლელად. ძლიერ მომესურვა ვაჟას ნახვა. დაავადებული წმ. ნინოს საავადმყოფოში იწვა, სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში. შევედი. გამგებელ ქალსა ესთხოვე, ნება დაერთო, მენახა. შეყოყმანდა, მძიმედ არისო ავად; მაინც შემიშო.

ფართო ოთახში იყო მოთავსებული. დიდი სიფაქიზე სუფევდა სადგომში. საურ-ზეწარს, მთელს ლოგინს სისუფთავის შუქი დაჭკრთოდა, მიჩემებული მომველელი ქალი მზად იდგა მიჰშველებოდა. დაღონებული სახე ჰქონდა ამ მის მცველ ანგელოზს.

უამა ვაჟას ჩემი დანახვა, პირს სიხარული გადაეფინა.

— ვასო, შენ?

— მე ვარ!

წამოჯდა. მიეუჯიქ გვერდზედ.

— როგორა ხარ, ჩემო კარგო?

— ეხლა არა მიჭირს რა: ექიმები, წამლები. მშვენიერი მოვლა, სისუფთავე. ერთი შეხედე! სთქვა

და თვალი მოაელო ოთახს.

— უსათუოდ მალე გამორჩები: შენი ძლიერი აგებულობა დაეხმარება მოელა-წამლობას და...

— ჩემი დიდი სურვილიც! ძლიერ მინდა, მალე ავსდგე. ცხელა აქ. ეხლა მთაში ყოფნას არაფერი შეედრება. ახ, ერთი იქაურ წყაროს დამწაფა! მალე მოვიშორებ ავადმყოფობას. წავალ და... რომ იცოდე, კიდეე რამდენი რამა მაქვს დასაწერი.

— მოესწრობი, დასწერ, ვეუხარ მე სრულის რწმენით:

მისმა იმედიანმა სიტყვამ, მისმა მძლაერ ბუნების ნაშთმა სასოება ჩამისახეს გულში, რომ ეს დიდებული ნიჭი თავისებური, კლდის უზარმაზარ ნაჩეხს რომ ჰგავს ჩამოხლეჩილს, კიდეე ბევრს ხანს შეგვრჩებოდა ქართველებს.

— მომვლელი ქალი მანიშნებდა, გამეთავებინა საუბარი მეგონა, მეტის სიფრთხილით მოსდდა მას. არც თითონ ვაჟამ, არც მე არ ვიცოდით, რომ სიკვდილს უკვე დაეკანა მის არსებაში.. დავემშვიდობე, ვაკოცე. უკანასკნელი ამბორი ყოფილიყო.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘ.

ᲕᲐᲟᲘᲡ ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

არც ვაჟას სიკვდილის დღეებში და არც მერე არავითარი ღონისძიება არ ყოფილა მიღებული შეკრებილიყო მისი მოწერა-მოწერა და დაუბეჭდავი ლექსები.

დღეს, ვაჟას მასალების მდიდარი კოლექციები აქვთ მის ძმებს ბაჩანას, სანდროს, განსვენებულ თედოს ოჯახს აგრეთვე შიო მღვიმელს, ივანე ბუქურაულს, ვასილ ედილს, ვეფხო კაკაბაძეს, იროდიონ ევდოშვილის ოჯახს და სხ.

მათს ოჯახებშივეა დაცული ვაჟას ფრავალი ფოტოგრაფიული სურათები.

ამას გარდა ვაჟას დარჩენილი აუარებელი ნაწერები ინახება ვაჟას უფროსი ვაჟის ბ. ლევან რაზიკაშვილის ოჯახში.

სახელოვნო კომიტეტის მოვალეობაა, დღესვე შეუდგეს ამ ძვირფასი მასალების შეკრებას და გამოსაცემად დამზადებას.

—:—

დღეს, შესრულდა შვიდი წელიწადი, რაც გარდაიცვალა „ბახტრიონის“ ვაჟკაცი და მთის ბუმბერაზი—ვაჟა ფშაველა.

კეირას სრ—დ საქართველოს ძველი და ახალი მწერლობის კავშირთა მიერ, ვაჟას საფლავზე გადახდილ იქნება შვიდი წლის თავის აღსანიშნავად პანაშვიდი, რის შემდეგაც წარმოთქმულ იქნება სიტყვები.

დაიბეჭდა და გამოვიდა ხელოვნო კომიტეტის მიერ ვაჟაფშაველის I წიგნი—ლირიკა. წიგნი დიდი ფორმატისა და მშვენიერად არის გამოცემული ძვირფას ქაღალდზე.

უადგილობის გამო მრავალი მასალა გადაიდო.

რედ.

რედაქტორი: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ.

ნაბეჭდ. ფურ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვრო კომისარიატის სტამბა